პიარის როლი პროფესიული განათლების პოპულარიზაციაში

სალომე უერთაშვილი

მალხაზი ასანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: პროფესორი თორნიკე გურული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქყვენებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე უერთაშვილი, მალხაზი ასანიძე 05.06.2023

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია როლი, რომელსაც პიარი პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის ასრულებს. აღწერილია რა პრობლემებს აწყდებიან ის ახალგაზრდები, რომლებიც სწავლას არა უნივერსიტეტში, არამედ პროფესიულ კოლეჯში აგრძელებენ, რა სტერეოტიპები არსებობს საზოგადოებაში და როგორ ცდილობენ კონკრეტული კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლები საკუთარი საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ დადებითი განწყობის დანერგვას, ახალგაზრდების მოზიდვასა და რეიტინგის ზრდას.

გარდა ამ ყველაფრისა, აღწერილია როგორ მუშაობს განათლების სამინისტრო პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის, მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც განათლების უწყების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს სწორედ პროფესიული განათლება წარმოადენს. აღწერილია სტატისტიკაც წლების მიხედვით.

ნაშრომში მიმოხილულია უცხო ქვეყნის მაგალითებიც, თუ რა პრინციპი აქვთ დანერგილი ევროპაში პროფესიული განათლების განვითარების მიზნით. ევროპაში პროფესიულ კოლეჯებში სწავლა, საქართველოსგან განსხვავებით პრიორიტეტულადაც კი ითვლება. სწავლა და დასაქმება ერთად - ეს მთავარი პრინციპია, რომელიც უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემებმა პროფესიულ განათლებაში დანერგეს, ამ ყველაფრის მიღწევა დასაქმების სექტორთან აქტიური თანამშრომლობით მოხერხდა. საჭიროა საქართველოს განათლების სისტემამ მსგავს მაგალითებზე დაყრდნობით განავითაროს პროფესიული სასწავლებლები.

გარდა პროფესიული განათლების ნაწილისა, ნაშრომი ზოგადად მიმოიხილავს რას მოიცავს საზოგადოებასთან ურთიერთობის სფერო, რა ევალებათ პიარის

სპეციალისტებს და კონკრეტულად რა როლი აქვთ პროფესიულ კოლეჯებში დასაქმებულ პიარის თანამშრომლებს.

იმისთვის, რომ დადგენილიყო თუ როგორ მუშაობს პიარი პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის, რამდენად იცნობენ სტუდენტები კოლეჯის მიერ განხორციელებულ პიარ აქტივობებს ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა, რომლის ფარგლებშიც 100-ზე მეტი პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი გამოიკითხა.

ნაშრომი მოიცავს სარჩევს, შესავალს, ორ ძირითად თემად, რომელიც დაყოფილია ქვეთავებად, კვლევას, კვლევის ანალიზს, კვლევის შედეგების ინტერპრეტაციას, დასკვნას, რეკომენდაციებსა და ბიბლიოგრაფიას.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული განათლება, პიარი, საქართველო.

Abstract

The present master's thesis discusses the role played by PR for the promotion of vocational education. What kinds of issues young people who continue their education at a professional college rather than a university confront are detailed. What kinds of preconceptions are present and how college public relations departments work to promote a good view of schools as educational institutions in order to draw students and boost their reputation.

As vocational education is one of the Ministry of Education's top priorities, it is also explained how the Ministry of Education strives to promote it. Statistics are also described by years.

The essay also examines instances of other nations and the concepts they have incorporated into professional education in Europe. Contrary to Georgia, attending college is prioritized in Europe. By engaging with the employment sector, international educational systems were able to apply the primary idea of studying and working together in vocational education. It is essential that the Georgian educational department build vocational schools based on the examples of others.

Aside from the professional education section, the paper typically discusses what the subject of public relations entails, what PR specialists are accountable for, and what sort of job they have in professional college. We did an average study to find out how familiar college students are with the PR efforts carried out by colleges in order to determine how pr works to promote vocational education, in which more than 100 students were questioned.

This paper has a table of contents, an introduction, two main subjects separated into subheadings, research, research analysis, research results interpretation, conclusion, suggestions, and a bibliography.

Keywords: Vocational, PR, Georgia.

მადლობა

დიდი მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტს, საზოგადოებრივი ურთიერთობების პროგრამის მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის შესაძლებლობისთვის.